დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 58 08
06/09/2019

დმანისის მუნიციპალიტეტში პირველად ჯანდაცვაში ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის 2019 – 2020 წლების მუნიციპალური პროგრამა

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-19 მუხლის ,,ბ'' პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილების ,,C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ'' შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტში პირველად ჯანდაცვაში ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის 2019 – 2020 წლების მუნიციპალური პროგრამა დანართი N1 - ის შესაბამისად;
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

58-08-4-201909061243
https://edocument.ge/KvemoKartli/public/#/

დანართი №1

დმანისის მუნიციპალიტეტში პირველად ჯანდაცვაში ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის 2019 – 2020 წლების მუნიციპალური პროგრამა

შესავალი

მდგრადი განვითარების მიზნებისა და საქართველოს C ჰეპატიტის, აივ ინფექციის და ტუბერკულოზის სტრატეგიების შესაბამისად, რეკომენდებულია ქვეყანამ უზრუნველყოს მაღალი რისკის ჯგუფების პირთა სულ ცოტა 90%-ის გამოკვლევა ამ დაავადებებზე. ამავე დროს, ხელმისაწვდომი მონაცემებით, C ჰეპატიტზე გამოკვლეულია - 2700 ბენეფიციარი, რაც დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მეოთხედს შეადგენს.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის ხელშეწყობა და საზოგადოებაში მისი გავრცელების პრევენცია.

პროგრამის მოსარგებლეები

პროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები 18 წლის ასაკიდან.

მომსახურების მოცულობა

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

1. C ჰეპატიტზე გამოკვლევას სკრინინგული მეთოდებით, მათ შორის C ჰეპატიტზე სკრინინგით გამოვლენილი დადებითი შემთხვევების, კონფირმაციული მეთოდებით დადასტურებისა და მკურნალობაში ჩართვის მიზნით, რეფერალს C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის მკურნალობის სერვისების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებაში;
2. აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობით გამოკვლევას სკრინინგული მეთოდებით. მათ შორის აივ-ინფექცია/შიდსზე სკრინინგით დადებით შემთხვევებში, მიღებული შედეგის კონფირმაციული კვლევით დადასტურების ან უარყოფის მიზნით, რეფერალს „აივ-ინფექცია/შიდსის მართვის" სახელმწიფო პროგრამის კონფირმაციული კვლევის მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებაში.
3. ტუბერკულოზზე ეჭვის შემთხვევაში ფორმა №IV-100/ა-ის გაცემას და რეფერალს ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის ამბულატორიული სერვისების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებაში და შესაბამის შეტყობინებასა და სააღრიცხვო ფორმების წარმოებას (თუ ასეთი არსებობს უკვე, თუ არადა მხოლოდ ფ100-ით გაგზავნილ პაციენტთა რეესტრს)
4. 2019-2020 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრისტრიებული 18 წელს ზემოთ მოსახლეობის სრულ მოცვას ზემოაღნიშნული სკრინინგული სერვისებით, მათ შორის გამოსაკვლევ 10800 პირს (2019 წელს - 2 285, 2020 წელს - 8 515 ბენეფიციარი).
5. პროგრამის მხარდაჭერასა და მონიტორინგს;

დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ანაზღაურდება სრულად და არ ითვალისწინებს თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან;
2. მოსარგებლისათვის გაწეული მომსახურება ანაზღაურდება ერთეული შემთხვევების შესაბამისად.

პროგრამის განხორციელების მექანიზმები

C ჰეპატიტის სკრინინგისათვის საჭირო ტესტ-სისტემებითა და სახარჯი მასალებით უზრუნველყოფა და „სოფლის ექიმების“ გადამზადება განხორციელდება „C ჰეპატიტის მართვის“ და „აივ-ინფექცია/შიდსის მართვის“ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ან დონორის მიერ.

პროგრამის განმახორციელებელი

დმანისის მუნიციპალიტეტი

პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება პოპულაციის სკრინინგით მოცვის სამიზნე მაჩვენებლების მიხედვით. თითოეულ ბენეფიციარზე გასათვალისწინებელი თანხის განაწილება მოცემულია ქვემოთ

ერთეული სკრინინგის ღირებულების მუხლობრივი განაწილება		
მხოლოდ HCV ან HIV სკრინინგისათვის დარიცხული ხელფასი (ნებისმიერი ერთერთი ჩატარებისათვის)	1.00	ლარი
ერთდროულად HCV და HIV სკრინინგისათვის დარიცხული ხელფასი (ორივე კვლევის ჩატარებისათვის)	1.25	ლარი
ხარისხის ჯგუფის დარიცხული ხელფასი პროცესის მსვლელობის და ერთეული სკრინინგის წინასწარ შეთანხმებული ინდიკატორებით შეფასებისათვის (სჯდ ცენტრი)	0.25	ლარი
სხვა ადმინისტრირების ხარჯი (სჯდ ცენტრი)	0.25	ლარი
სულ გამოყოფილი ერთეული ღირებულება (სამივე სკრინინგის ჩატარებისათვის)	**1.75**	**ლარი**
სულ: 2 წლის - 18 900 ლარი, მათ შორის:	**2019 წელი – 4 000 ლარი** **2020 წელი– 14 900 ლარი**	

რეგიონი	რაიონი	მოსახლეობის რაოდენობა და ჩატარებული ტესტების რაოდენობა რეგიონი/რაიონები მიხედვით						C ჰეპატიტზე დასასკრინი მოზრდილი მოსახლეობა 2019-2020 წლებში	საჭირო ბიუჯეტები დასასკრინი მოზრდილი	
		მოსახლეობის რაოდენობა სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით	მოზრდილი მოსახლეობა (>18) *0.7668	C ჰეპატიტზე დასკრინული უნიკალური მოზრდილი მოსახლეობა (>18)	მ.შ. დადებითი	მოზრდილებში C ჰეპატიტზე სკრინინგით მოცვა %	სკრინინგით დადებითების გამოვლენის %		სკრინინგისთვის საჭირო ბიუჯეტი 2019-2020 წლებში	მათ შორის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან გადასახდელი
ქვემო-ქართლ	დმანისი	20 200	15 490	4 690	128	30,28%	2,73%	10 800	56 700	18 900
ქვემო-ქართლ	როსთავი	127 800	97 997	33 398	3 026	34,08%	9,06%	64 599	339 145	113 048
ქვემო-ქართლ	წალკა	19 300	14 799	4 457	138	30,12%	3,10%	10 342	54 296	18 099
ქვემო-ქართლ	ბოლნისი	55 300	42 404	12 783	525	30,15%	4,11%	29 621	155 510	51 837
ქვემო-ქართლ	მარნეული	106 500	81 664	21 527	916	26,36%	4,26%	60 137	315 719	105 240
ქვემო-ქართლ	გარდაბანი	81 300	62 341	18 775	1 085	30,12%	5,78%	43 566	228 722	76 241
ქვემო-ქართლ	თეთრიწყარ	21 900	16 793	5 298	271	31,55%	5,12%	11 495	60 349	20 116
ქვემო-ქართლ	სულ	**432 300**	**331 488**	**100 928**	**6 089**	**30,45%**	**6,03%**	**230 560**	**1 210 440**	**403 480**